

საგანმანათლებლო პროგრამა: „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა“

საგანი: საწარმოთა ეკონომიკის და მენეჯმენტის საფუძვლები

ბილეთი №1

1. რა ახდენს მთავარ ზეგავლენას საწარმოს და პერსონალის მართვაზე:

- ა) პრაქტიკული ფსიქოლოგია;
- ბ) მენეჯმენტი;
- გ) სამეურნეო საქმიანობის ანალიზი;
- დ) მეწარმეობა.

2. მენეჯერი არის:

- ა) თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს სპეციალური განათლება და პირად დაქვემდებარებაში ჰყავს ადამიანები;
- ბ) იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალური საწარმოს მეპატრონეა;
- გ) ინჟინერ-ეკონომისტი, რომელსაც ორგანიზაციაში მთავარი ინჟინრის თანამდებობა უკავია;
- დ) მეწარმე.

3. მენეჯმენტის მთავარი მიზანია:

- ა) პირველი ადგილის დაკავება ბაზარზე პროდუქციის გაყიდვების მიხედვით;
- ბ) ფინანსური რესურსების ყველა სახეობის სტაბილურ დონეზე შენარჩუნება;
- გ) პრიორიტეტული ამოცანებისა და მართვის ზემოქმედების კრიტიკული ადგილების განსაზღვრა;
- დ) საწარმოს მუშაობის შესახებ რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების ორგანიზება.

4. მენეჯმენტის ფუნქციებია:

- ა) დაგეგმვა, ორგანიზაცია, კოორდინაცია, მოტივაცია, კონტროლი;
- ბ) მოდელირება, ექსპერემენტირება;
- გ) ეკონომიკური, საორგანიზაციო-განკარგვითი, სოციალურ-ფსიქოლოგიური.

5. თუ  $x$ ,  $y$  და  $z$  თანამიმდევრობით აღებული სამი მთელი რიცხვია  $x < y < z$ , შემდეგი წინადადებიდან რომელია ჭეშმარიტი?

- a)  $y - z = 1$
- b)  $x + y + z$  ლუწია

c)  $\frac{xyz}{3}$  მთელია.

მხოლოდ a); მხოლოდ b); მხოლოდ c).

6. უმაღლეს სასწავლებელში სხვადასხვა საგანს მინიჭებული აქვს შემდეგი წონები: მათემატიკა – 3; უცხო ენა - 2; ისტორია – 2, მეცნიერება – 2 და ხელოვნება – 1. რა საშუალო ნიშანი ექნება სტუდენტს, რომელმაც მიიღო შემდეგი ნიშნები: მათემატიკა – 89; უცხო ენა - 92; ისტორია – 94, მეცნიერება – 81 და ხელოვნება – 85

ა) 86.3; ბ) 87.8; გ) 88.6; დ) 90.2

7. ცხრილში ნაჩვენებია ორი კომპანიის ფინანსური შემოსავალი 2008 წელს და რამდენად შემცირდა ის 2007 წელთან შედარებით.

	Alpha კომპანია	Beta კომპანია
2008 წლის შემოსავალი	550000	174000
შემოსავლის შემცირება 2007 წელთან შედარებით	12%	13%

განსაზღვრეთ, 2007 წელს Beta კომპანიის შემოსავალი Alpha კომპანიის შემოსავლის რამდენ პროცენტს შეადგენდა?

ა) 40%; ბ) 32%; გ) 25%; დ) 20%

8. საქონლის გასაყიდი ფასია 250 ლარი, რომელშიც 70%-ია პროდუქციის სრული თვითღირებულება. რამდენია გაყიდვის შედეგად მიღებული მოგება?

ა) 65 ლარი; ბ) 99 ლარი; გ) 75 ლარი; დ) 50 ლარი.

9. არჩილის, შაქროს და გიას წილია საწარმოში 20%; 70%; და 10% შესაბამისად. გასანაწილებელია 33 475 ლარი. რამდენი ლარი ერგება არჩილს?

ა) 6695 ბ) 7007 გ) 2500 დ) 3333,3.

10. ერთი მუშის ხელფასი კვირაში 240 ლარი, საწარმოში სულ მუშაობს 7 მუშა. მათ სურთ ადმინისტრაციასთან აწარმოონ მოლაპარაკება გასამრჯელოს კვირაში 30 ლარით გაზრდის შესახებ. რამდენი პროცენტით გაიზრდება ასევე შემთხვევაში მეწარმის ჯამური დანახარჯები პერსონალის ხელფასზე?

ა) 35%; ბ) 10%; გ) 47,4%; დ) 12.5%.

## ბილეთი №2

### 1. მენეჯმენტი განისაზღვრება როგორც:

- ა) მეცნიერულად დასაბუთებული, სავარაუდო მსჯელობა ორგანიზაციის მომავალზე;
- ბ) ორგანიზაციის, მატერიალური რესურსებით, ადჰურვილობით და ა.შ. უზრუნველყოფის პროცესი;
- გ) ორგანიზაციის მუშაობის შედეგების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება;
- დ) ინტეგრაციული პროცესი, რომლის მეშვეობითაც პროფესიულად მომზადებული სპეციალისტები აყალიბებენ და მართავენ ორგანიზაციებს.

### 2. კოორდინირების ფუნქციის მიზანია:

- ა) მართვის სისტემების გამართული მუშაობის შემოწმება;
- ბ) საქმის შესრულების ყველა მონაწილის მუშაობის სინქრონიზაციის უზრუნველყოფა;
- გ) ორგანიზაციის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა;
- დ) დავალებების შესრულების აღრიცხვა.

### 3. მართვის რაციონალური სტრუქტურის კრიტერიუმებია:

- ა) მართვის საფეხურების მაქსიმალური რაოდენობა;
- ბ) მართვის ფუნქციების დუბლირება;
- გ) მაღალი დანახარჯები მართვაზე;
- დ) მართვის მაღალი ეფექტურობა და ეფექტიანობა.

### 4. ქვემოთ ჩამოთვლილი მონაცემებიდან რომელი არ მიეკუთვნება მენეჯერის პირადულ და პროფესიულ თვისებებს?

- ა) მოქნილობა, დიპლომატიურობა;
- ბ) თვითკრიტიკულობისა და თავდაჯერებულობის დონეებს შორის ოპტიმალური თანაფარდობა;
- გ) პროფესიული თვითსრულყოფისა და პირადი ზრდისადმი მისწრაფება;
- დ) კოლექტივიზმისკენ მიდრეკილება და მოქმედებების სოციალური მიზანდასახულობა

5.6 რიცხვის საშუალო (საშუალო არითმეტიკული) უდრის 24. თუ ამ რიცხვებიდან ოთხის ჯამი უდრის 106-ს, რას უდრის დარჩენილი ორის საშუალო არითმეტიკული?

---

- ა) 12;    ბ) 19;    გ) 48;    დ) 72

6. კომპიუტერული მაღაზია უხდის კომპიუტერის მწარმოებელს 40%-ით მეტს, ვიდრე კომპიუტერის თვითღირებულებაა. მომხმარებელი მაღაზიაში იხდის 25%-ით იმ ფასზე მეტს, რაც გადაიხადა კომპიუტერში მაღაზიამ. რამდენი პროცენტით მეტს იხდის მომხმარებელი კომპიუტერის თვითღირებულებასთან შედარებით?

---

- ა) 60%,    ბ) 70%,    გ) 75%,    დ) 80%

7. როდესაც ნიკამ დამატებით მიიღო  $(10x)$  ლარი, მას გაუხდა  $(5y+1)$ – ჯერ მეტი ფული, ვიდრე თავდაპირველად გააჩნდა. რამდენი ლარი ჰქონდა ნიკას თავდაპირველად?

- ა)  $10x(5y+1)$ ;    ბ)  $(5y+1)/10x$ ;    გ)  $2x/y$ ;    დ)  $10/(5y+1)$

8. საქონლის გასაყიდი ფასია 2000 ლარი, მოგება ფასის 25%-ს შეადგენს. რამდენია პროდუქციის სრული თვითღირებულება?

- ა) 1075 ლარი;    ბ) 990 ლარი;    გ) 1750 ლარი;    დ) 1500 ლარი

9. გოჩას, შაქროს და გიას წილი საწარმოში შეადგენს 20%; 70% და 10%. გოჩას დივიდენდმა შეადგინა 12000 ლარი. რა სიდიდის მოგება გაანაწილეს საწარმოში?

- ა) 99 000 ლარი;    ბ) 60 000 ლარი;    გ) 55 550 ლარი;    დ) 77 700 ლარი

10. მოწყობილობის საბალანსო ღირებულება იყო 20 000 ლარი, ამორტიზაციის ნორმა – 20%, რას შეადგენს მისი ნარჩენი ღირებულება ექსპლუატაციის მე-3 წლის დასაწყისისათვის?

- ა) 13 335 ლარი;    ბ) 12 800 ლარი;    გ) 14 447,4 ლარი;    დ) 18 000 ლარი

### ბილეთი №3

1. კონტროლი არის:

- ა) მიზნის მიღწევის უზრუნველყოფის პროცესი;  
ბ) სტანდარტების დამუშავება;  
გ) თავდაპირველი გეგმიდან გადახვევების რეგულირება;  
დ) ქვედანაყოფების მოღვაწეობის კოორდინირება.

2. მართვის გადაწყვეტილება - ესაა:

- ა) მოქმედებების მიმართვის სისტემატიზირებული პროცესი;  
ბ) ალტერნატივის შერჩევა;  
გ) მიზნის მიღწევის მიმართულებით მოქმედებების ნაკრები;
-

დ) ობიექტზე ზემოქმედების სისტემა.

3. პრობლემის რაციონალური გადაწყვეტის ეტაპებია:

ა) ინფორმაციის მიღება და აღქმა;

ბ) მონაცემების ფილტრაცია;

გ) ნეგატიური შედეგების შეფასება ორგანიზაციის მისიასთან მიმართებაში.

4. ქვემოთ ჩამოთვლილიდან, რა არ წარმოადგენს გადარჩენის სტრატეგიის ძირითად მიზანს?

ა) ბაზართან ადაპტაცია;

ბ) სარესურსო პოტენციალის უზრუნველყოფა;

გ) სამეურნეო საქმიანობის სტაბილურობის უზრუნველყოფა;

დ) ბაზრის წილის ზრდა.

5. თუ ირაკლი ბეჭდავს კომპიუტერზე ერთ გვერდს  $p$  წუთში, გვერდის რა ნაწილს დაბეჭდავს ის 5 წუთში?

ა)  $5/p$ ;    ბ)  $p/5$ ;    გ)  $p \times 5$ ;    დ)  $5-p$

6. აგზი ნახევრად სავესეა. თუ დავამატებთ 10 ლიტრ წყალს, აივსება აგზის  $7/8$ . რა მოცულობის წყალი ეტევა აგზში

ა)  $24 \frac{3}{8}$ ,    ბ)  $26 \frac{2}{3}$ ,    გ)  $28 \frac{1}{3}$ ,    დ)  $30 \frac{3}{8}$

7. ერთი ბარელი ნავთობის ფასი 50 დოლარია, ხოლო ერთი ბარელი “რეგულარი“-ს ტიპის ბენზინისა 65.5 დოლარი. ნავთობის ფასი ყოველთვიურად იზრდება 10%-ით, ხოლო ბენზინის ფასი უცვლელი რჩება. რამდენ თვეში გახდება ნავთობის ფასი ბენზინის ფასზე მეტი.

ა) 2;    ბ) 3;    გ) 4;    დ) 5

8. საქონელი ვიყიდეთ 210 ლარად. რამდენად უნდა გააყიდოთ იგივე საქონელი, რომ მივიღოთ 30%-იანი მოგება სარეალიზაციო ფასიდან?

ა) 300 ლარი;    ბ) 290 ლარი;    გ) 175 ლარი;    დ) 450 ლარი

9. საწარმოს პერიოდულად ჭირდება ფქვილი, პირველად შეიძინეს 500კგ. და კილოგრამში გადაიხადეს 0,70 ლარი; მეორედ – 700კგ., რომელშიც გადაიხადეს 0,50 ლარი; მესამედ – 800კგ. ფასად 1 ლარი კილოგრამში. რამდენი გადაუხდიათ საშუალოდ ერთ კგ. ფქვილში?

ა) 0,64 ლარი;    ბ) 0,75 ლარი;    გ) 0,83 ლარი;    დ) 0,70 ლარი

10. საამქროს პროდუქციაა ავტოდეტალი, რომლის გასაყიდი ფასია – 3 ლარი, ცვლადი დანახარჯები – 1 ლარი, მუდმივი დანახარჯები – 500 ლარი. რამდენი დეტალი უნდა გაწარმოთ შესაბამის პერიოდში, რომ მივაღწიოთ წონასწორობის წერტილს?

ა) 700 ცალი; ბ) 250 ცალი; გ) 300 ცალი; დ) 400 ცალი

#### ბილეთი №4

1. ორგანიზაციული გადაწყვეტილება - ეს არის:

ა) ინფორმაციის მიღება და აღქმა;

ბ) მონაცემების ფილტრაცია;

გ) არჩევანი, რომელიც უნდა გააკეთოს ხელმძღვანელმა, იმისთვის რომ შეასრულოს საკუთარი მოვალეობები;

დ) მართვის ობიექტზე ზემოქმედების სისტემა.

2. ქვემოთ ჩამოთვლილიდან, რომელი არ შედის მოთხოვნებში, რაც წაყენება მენეჯერის სამუშაო ადგილის ორგანიზებას:

ა) მოხერხებული ავეჯი;

ბ) ორგტექნიკის საშუალებების არსებობა;

გ) მუშაობის და დასვენების რაციონალური რეჟიმი;

დ) ინტერიერის ფერთა გამის შეთანხმება მენეჯერთან.

3. პრობლემა - ეს არის:

ა) შეხედულებების სხვაობა;

ბ) სისტემის არსებულ და მოსალოდნელ მდგომარეობებს შორის განსხვავება;

გ) კონფლიქტური სიტუაცია;

დ) ალტერნატივის არარსებობა.

4. ფაქტორი, რომელიც არ მოქმედებს შრომითი კოლექტივის ჩამოყალიბებაზე:

ა) კოლექტივის ხარისხობრივი შემადგენლობა;

ბ) კოლექტივში მუშაობის ორგანიზება;

გ) ხელმძღვანელის ფსიქოლოგიური თვისებები;

დ) კოლექტივის მუშაობის შედეგების საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

5. სტამბის 6 საბეჭდი მანქანა 4 საათში ბეჭდავს 5000 გაზეთს. რამდენ საათში დაბეჭდავს 3 ასეთი მანქანა 3000 გაზეთს?

---

ა) 3 საათი 20 წუთი; ბ) 4 საათი 40 წუთი; გ) 4 საათი 48 წუთი; დ) 5 საათი 48 წუთი;

6. შესვენებაზე სამსახურში დათმობილი მითითებულია P ვაშლი. ვაშლების გარკვეული რაოდენობა დათმობილია გადაინახა თავისთვის, ხოლო დანარჩენი დაურიგა თავის F თანამშრომელს. თუ თითოეულ თანამშრომელს შესვდა S ვაშლი, მაშინ რამდენი ვაშლი შეინახა დათმობილი თავისთვის?

ა)  $P-(F/S)$ , ბ)  $P-(FS)$ , გ)  $P-(F+S)$ , დ)  $FS-P$

7. მიკროჩიპის ფასი ყოველ 6 თვეში ეცემა 66%. თუ კლების ეს ტემპი შენარჩუნდება, დაახლოებით რამდენ წელიწადში შემცირდება ჩიპის ფასი 1 დოლარამდე, თუ მიმდინარე ფასი 81 დოლარია.

ა) 1.5 წელი; ბ) 2 წელი; გ) 2.5 წელი; დ) 3 წელი.

8. რამდენად უნდა ვიყიდოთ საქონლი, რომ მისი 450 ლარად რეალიზაციისას მოგება შეადგინოს 30%?

ა) 300 ლარი; ბ) 330 ლარი; გ) 315 ლარი; დ) 350 ლარი.

9. საამქროში 75 მუშაა დასაქმებული, მათ შორის: მე-3 თანრიგის – 30; მე-4 თანრიგის – 15; დანარჩენი მე-5 თანრიგისაა. საამქროში მუშათა კვალიფიკაციის საშუალო დონე (თანრიგი) შეადგენს:

ა) 3,5; ბ) 4; გ) 4,4; დ) 5.

10. საამქროს პროდუქცია ავტოდეტალი, რომლის გასაყიდი ფასია – 3 ლარი, ცვლადი დანახარჯები – 1 ლარი, მუდმივი დანახარჯები – 500 ლარი. რამდენი დეტალი უნდა გაწარმოთ, რომ სათანადო პერიოდში მიღებულმა მოგებამ 2000 ლარი შეადგინოს?

ა) 1 700 ცალი; ბ) 1 250 ცალი; გ) 3000 ცალი; დ) 4000 ცალი.

#### ბილეთი №5

1. პერსონალის მართვის ეფექტური მეთოდი არის:

ა) მუქარა;

ბ) დაყოფილება;

გ) მკაფიო მითითებები;

დ) თხოვნა.

---

2. მენეჯერის მუშაობის შინაარსი არ გულისხმობს:

- ა) საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის დამუშავებას;
- ბ) მუშაობის სტიმულების შემუშავებას;
- გ) ფუნქციონალური მოვალეობების შესრულების კორექტირებას;
- დ) გეგმების შემუშავებას.

3. ორგანიზაციის მიზნებისადმი წაყენებული მოთხოვნებია:

- ა) მხოლოდ რეალურობა;
- ბ) შეზღუდულობა, ცვალებადობა;
- გ) მხოლოდ გაზომვადობა;
- დ) რეალურობა, გაზომვადობა.

4. ფაქტორი, რომელიც არ მოქმედებს შრომითი კოლექტივის ჩამოყალიბებაზე:

- ა) კოლექტივის ხარისხობრივი შემადგენლობა;
- ბ) კოლექტივში მუშაობის ორგანიზება;
- გ) ხელმძღვანელის ფსიქოლოგიური თვისებები;
- დ) კოლექტივის მუშაობის შედეგების საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

5. ბიზნეს სკოლის სამი განყოფილების - მარკეტინგის, საბუღალტრო აღრიცხვის და საბანკო ფინანსების სტუდენტების რაოდენობა შეეფარდება ერთმანეთს, როგორც 7:8:10. თუ სკოლაში სწავლობს 500 სტუდენტი, რამდენი მათგანი სწავლობს საბანკო ფინანსების განყოფილებაზე.

- 
- ა) 140;      ბ) 160;      გ) 200;      დ) 250

6. თუ  $x^2y > 0$  და  $xy^2 < 0$ , მაშინ მოცემულიდან რომელია ჭეშმარიტი?

- ა)  $x = 0$ ;    ბ)  $y = 0$ ;    გ)  $x > 0$  და  $y < 0$ ;    დ)  $x < 0$  და  $y > 0$

7. რამდენი წელს უნდა დაელოდოს ბანკის კლიენტი, სანამ 2500 ლარიანი დეპოზიტი მოუტონს მას 1000 ლარზე მეტ მოგებას. წლიური საბანკო განაკვეთი 10%-ია?

- 2 წელი; 3 წელი; 4 წელი; 5 წელი

8. საქონელი ვიყიდეთ 900 ლარად, გაყიდეთ – 1 170 ლარად, რამდენია ჩვენი მოგება პროცენტებში?

- ა) 40%;      ბ) 30%;      გ) 25%;      დ) 33,3%.



9. სეზონურ საწარმოში 5-მა თანამშრომელმა სრული წელი იმუშავა; 15-მა – 8 თვე, 105-მა – 5 თვე, რანდენი “კაც.წელი” იყო დასაქმებული?

ა) 35;    ბ) 84;    გ) 47,4;    დ) 58,75

10. პროდუქციის რეალიზაციით მიღებული წლიური (წლის ხანგრძლივობა - 360 დღე) შემოსავალი ტოლია ასი ათასი ლარის, საბრუნავი საშუალებების საშუალო ნაშთი – ოცი ათასი ლარი. საბრუნავი საშუალებების დაბრუნების ციკლის ხანგრძლივობა ტოლია:

ა) 17 დღე;    ბ) 125 დღე;    გ) 30 დღე;    დ) 72 დღე.